



European School LTD
შპს ევროპული სკოლა

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკა

გადახედვის სიხშირე: ყოველწლიური
მოამზადა: ადმინისტრაციულმა მენეჯერმა
დაიწერა: 2018 წლის დეკემბერში
ცვლილებები შევიდა: 2020 წლის ნოემბერში
გადახედვის შემდეგი თარიღი: 2021 წლის ნოემბერი

თამარ არაბიძე
ადმინისტრაციული მენეჯერი



CollegeBoard

AdvancED
ACCREDITED | Transforming
Education
Worldwide



2, I. Skhirtladze st.
0177 Tbilisi, Georgia
Tel: (032) 239 59 64
info@europeanschool.ge
www.europeanschool.ge

„ევროპული სკოლა“ აცნობიერებს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში მომზადებული გუნდის მნიშვნელობას. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვას. ინციდენტები, უბედური შემთხვევები, გადამდები დაავადებები და სამსახურის მიზეზით გამოწვეული ავადმყოფობა შესაძლოა, განაპირობოს სხვადასხვა გარემოებამ.

„ევროპული სკოლის“ მზადყოფნა თანაბრად ეხება ყველა პიროვნებას, რომელზეც, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს აკადემიური გუნდის საქმიანობამ, მათ შორის: მოსწავლეები, გუნდის წევრები, კონტრაქტორები, საზოგადოების წარმომადგენლები. გუნდის პოლიტიკის, სტრატეგიის, გეგმის და საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მაღალი სტანდარტი.

უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მაღალი სტანდარტების მისაღწევად საჭიროა ყველა თანამშრომლის ჩართულობა. ყველამ უნდა ითანამშრომლოს უსაფრთხო სამსახურებრივი სისტემების უზრუნველსაყოფად. კომპეტენციის ფარგლებში, „ევროპული სკოლის“ ყველა თანამშრომელი პასუხისმგებელია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯმენტზე. ამ საკითხს ყურადღება მიექცევა თანამშრომელთა ყოველწლიურ შეფასების სქემაშიც. წინამდებარე პოლიტიკა/დოკუმენტი გადაიხედება ორგანიზაციული და სამუშაო ცვლილებების პროცესში, და სულ მცირე - წელიწადში ერთხელ. წინამდებარე პოლიტიკის/ დოკუმენტის დარღვევამ შესაძლოა, გამოიწვიოს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკა

- თანამშრომლების ტრენინგი რისკების შეფასებისა და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კუთხით;
- კონსულტაციები თანამშრომლებთან;
- მასწავლებლების, სხვა თანამშრომლების, მოსწავლეების და ვიზიტორების უსაფრთხოება;
- სახანძრო უსაფრთხოება - მათ შორის, განგაშის და ევაკუაციის პროცედურების გამოცდა;
- სამედიცინო საჭიროებებისა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მხარდაჭერა;
- პროცედურები და პოლიტიკა სკოლის ფარგლებს გარეთ დაგეგმილი აქტივობებისა და გასვლების დროს;
- ინციდენტების აღწერა და რეპორტირება - პროცედურები და საკონტაქტო დეტალები უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სფეროში საგანგებო სიტუაციის შექმნის შემთხვევაში;
- სამსახურთან დაკავშირებული ჯანმრთელობა და სამსახურით გამოწვეული სტრესი;

- მავნე ნივთიერებების კონტროლი და აზბესტის მენეჯმენტი;
- კონტრაქტორების შერჩევა და მენეჯმენტი.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

მრჩეველთა საბჭოს როლი

ევროპულ სკოლაში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების მიზნით იქმნება უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის პოლიტიკის შემუშავებაზე, მის იმპლემენტაციასა და მონიტორინგზე.

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯერი

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯერი არის პიროვნება, რომელიც პასუხისმგებელია აკადემიურ გუნდში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფაზე. უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის პოლიტიკის იმპლემენტაციის მიზნით, მენეჯერი:

- ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს და მიზნებს ითვალისწინებს დეპარტამენტის გეგმებში;
- თავისი საქმიანობით თანამშრომლებს უქმნის პოზიტიურ მაგალითს;
- ხელს უწყობს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ეფექტური პრაქტიკის დანერგვას სკოლაში და რწმუნდება იმაში, რომ დირექტორი ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას;
- მიუხედავად პოზიციისა, გუნდში ყველა პიროვნებას აკისრებს პასუხისმგებლობას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხებზე;
- უზრუნველყოფს თანამშრომლებთან ადეკვატურ კონსულტაციებს;
- რწმუნდება იმაში, რომ ყველა თანამშრომელი იღებს ადეკვატურ ინსტრუქციას და ზედამხედველობას, რათა მათ ეფექტურად შეასრულონ დაკისრებული ფუნქცია- მოვალეობები;
- რწმუნდება, რომ მობილიზებულია შესაბამისი რესურსები ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომების გასატარებლად;
- იღებს დამატებით ინფორმაციას კომპეტენტური თანამშრომლებისგან ან გარე კონსულტანტებისგან, რათა დარწმუნდეს, რომ უსაფრთხოების და ჯანმრთელობის სტანდარტები დაცულია;
- რწმუნდება იმაში, რომ ყველა კონტრაქტორი არის აყვანილი, შერჩეული და შემოწმებული სათანადოდ;
- რწმუნდება იმაში, რომ დირექტორსა და მენეჯერებს გავლილი აქვთ შესაბამისი

ტრენინგი;

- აძლევს რჩევებს დირექტორს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მიმართულებით და ამცნობს, თუ რომელი ტრენინგების საჭიროებები გააჩნიათ თანამშრომლებს ამ კუთხით;
- რწმუნდება იმაში, რომ დირექტორს და სხვა მენეჯერებს აქვთ საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ სათანადო ინფორმაცია;
- ატარებს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხების ყოველწლიურ აუდიტს.

სკოლის დირექტორი/ადმინისტრაციული მენეჯერი

კომპეტენციის ფარგლებში, დირექტორი და ადმინისტრაციული მენეჯერი უზრუნველყოფენ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების იმპლემენტაციას და გადიან კონსულტაციებს ყველა თანამშრომელთან ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებზე.

სკოლის დირექტორი და ადმინისტრაციული მენეჯერი:

- უზრუნველყოფენ ადეკვატური ზომების მიღებას პოლიტიკის განხორციელების მიზნით;
- რწმუნდებიან, რომ ყველა თანამშრომელს აკისრია პასუხისმგებლობა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კუთხით;
- რწმუნდებიან იმაში, რომ მათი მმართველი გუნდი სრულად უზრუნველყოფს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას ახალი მეთოდების, სისტემების, და აღჭურვილობების დანერგვისას, ან ახალი ლოკაციების ათვისებისას;
- თანამშრომლებს აძლევენ პოზიტიურ მაგალითს;
- რწმუნდებიან იმაში, რომ მობილიზებულია ადეკვატური რაოდენობის პირები, რომლებიც ჩაატარებენ რისკების შეფასებას საჭიროების მიხედვით;
- რწმუნდებიან იმაში, რომ რისკების შეფასება ხდება შესაბამისი მიმართულებით, დეტალები აღნუსხულია და შემუშავებულია სამოქმედო გეგმა რისკების აღმოსაფხვრელად;
- რწმუნდებიან იმაში, რომ ყველა თანამშრომელი ინფორმირებულია და გავლილი აქვს ტრენინგი, რათა სათანადოდ შეასრულონ მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები (იხილეთ პირველადი გადაუდებელი დახმარებისა და სახანძრო უსაფრთხოების დოკუმენტები).
- რწმუნდებიან იმაში, რომ უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხები ადეკვატურად არის გათვალისწინებული კონტრაქტებში და რომ კონტრაქტების ოპერაციული ასპექტები ადეკვატურად მოწმდება;

- რწმუნდებიან იმაში, რომ არსებობს ეფექტური საკომუნიკაციო სისტემა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხების მიმართულებით;
- საჭიროების შემთხვევაში, გადიან კონსულტაციას კომპეტენტურ ექსპერტებთან ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებზე და მიღებული რჩევების საფუძველზე მიმართავენ საჭირო ზომებს.

სკოლის დირექტორი და ადმინისტრაციული მენეჯერი პასუხს აგებენ სკოლის ზოგად მენჯმენტზე, მათ შორის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და ვიზიტორების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე, და სკოლის ტერიტორიის კონტროლზე. სკოლის დირექტორი, ადმინისტრაციული მენეჯერი და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯერი ერთობლივად მუშაობენ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად და საკანონმდებლო სტანდარტების დასაკმაყოფილებლად. სკოლას გააჩნია იურიდიული პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს:

- უსაფრთხო გარემო მოსწავლეებისთვის, თანამშრომლებისთვის და ვიზიტორებისთვის;
- უსაფრთხო ინვენტარი და სისტემები;
- ნივთიერებების უსაფრთხო ტრანსპორტირება, შენახვა და გამოყენება;
- ინფორმირება, ინსტრუქციებისა და ტრენინგების უზრუნველყოფა, ზედამხედველობა;
- უსაფრთხოებისთვის საჭირო ინვენტარი.

სკოლაში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პროცედურების უზრუნველყოფა წარმოადგენს დირექტორის პასუხისმგებლობას. დირექტორი უნდა დარწმუნდეს, რომ საჭირო პროცედურები ხორციელდება, კონტროლდება და მოწმდება - ამგვარად, პროცედურები ინარჩუნებს ეფექტურობას და რელევანტურობას.

სკოლის დირექტორი:

- უნდა დარწმუნდეს, რომ სკოლა ემორჩილება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკას, როგორც სკოლის შიგნით, ასევე სასკოლო აქტივობების დროს;
- უნდა დარწმუნდეს, რომ არსებობს შესაბამისი პროცედურები რისკების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი ზომების გასატარებლად;
- უნდა დარწმუნდეს, რომ ყოველთვიურად ტარდება შემოწმება რისკების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის მიზნით;
- უნდა დარწმუნდეს, რომ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ყოველწლიური აუდიტი ხორციელდება კვალიფიცირებული პირისმიერ;
- დარწმუნდეს, რომ სკოლის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯერი შესაბამისად ახორციელებს დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს.

თანამშრომლის პასუხისმგებლობა

ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა და მაღალი სტანდარტების დაცვა წარმოადგენს ყველა თანამშრომლის მოვალეობასა და პასუხისმგებლობას.

თანამშრომელმა:

- ხელმძღვანელებს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საფრთხეების ან პოტენციური საფრთხეების შესახებ;
- მოიქცეს გონივრულად, რათა საფრთხეში არ ჩააგდოს სხვები ან საკუთარი თავი;
- გამოიყენოს უსაფრთხოების ტრენინგზე შეძენილი ცოდნა და მიმართოს დანერგილ უსაფრთხო სამუშაო პრაქტიკას;
- ითანამშროლოს მენეჯმენტთან დაკისრებული პასუხისმგებლობის სათანადოდ შესრულების მიზნით;
- ჩაერთოს რისკების/საფრთხეების შეფასებისა და იდენტიფიცირების პროცესში;
- დაიცვას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ინტერესები;
- განაცხადოს სამედიცინო საჭიროებების შესახებ, თუ ისინი მას ან ხელს შეუშლის სამუშაოს შესრულებაში, ან ჩააგდებს საფრთხეში დაკისრებული სამუშაოს შესრულებისას;
- სერიოზული საფრთხის/რისკის შემთხვევაში, მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტულ ლოკაციაზე/პროცესზე პასუხისმგებელ ხელმძღვანელს.

თანამშრომლები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან შენობის კონტროლზე:

- რწმუნდებიან, რომ რისკების შეფასება/შესაბამისი ზომები ხორციელდება შენობის იმ ნაწილებში, რომლებზეც ისინი აგებენ პასუხს;
- კოორდინირებას უწევენ შენობის იმ ნაწილის ინსპექციას, რომლებზეც მათ აკისრიათ პასუხისმგებლობა, რათა დარწმუნდნენ, რომ შენობა და ინვენტარი არის უსაფრთხო;
- რწმუნდებიან იმაში, რომ ინვენტარი შენობის აღნიშნულ ნაწილში საჭიროებისამებრ მოწმდება;
- აღუსხავენ ინფორმაციას გეგმიურ/რეაქტივულ შემოწმებებსა და ინსპექციებზე;
- რწმუნდებიან იმაში, რომ შენობის ის ნაწილი, რომელზეც მათ პასუხისმგებლობა აკისრიათ, ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის;
- რწმუნდებიან იმაში, რომ უსაფრთხოების ზომები მიღებულია და მოქმედებს;
- რწმუნდებიან იმაში, რომ არსებობს საგანგებო სიტუაციების მართვის პრაქტიკა/პროცედურები;
- აფასებენ სახანძრო უსაფრთხოებას;
- რწმუნდებიან იმაში, რომ ცეცხლმაქრი ბალონები და სახანძრო სსტემები

გამართულად მუშაობს;

- კოორდინაციას უწევს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას შენობაში.

მუშაობის სტანდარტების მონიტორინგი

აღნიშნულ სტანდარტებსა და პროცედურებს მონიტორინგს უწევს სკოლის საბჭო. საჭიროების თანახმად, თანამშრომლებს მიეწოდებათ ინფორმაცია რეკომენდაციის სახით.

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხების რეპორტირება

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხების გადაწყვეტის პასუხისმგებლობა აკისრია მენეჯმენტს, გათვალისწინებული კომუნიკაციის ჯაჭვისა და პასუხისმგებლობის დანაწილების შესაბამისად.

ნებისმიერმა თანამშრომელმა, რომელსაც მიაჩნია, რომ არსებობს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, ამის შესახებ უნდა აცნობოს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯერს, რომელიც პასუხისმგებელია საკითხის გადაწყვეტაზე. თუკი ამ დონეზე საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია, მაშინ საქმეში უნდა ჩაერთოს სკოლის დირექტორი, ან ადმინისტრაციული მენეჯერი. საკითხები, რომელთა მოგვარებაც არ ხორციელდება, უნდა გადაეცეს სკოლის საბჭოს.

ინციდენტის / შემთხვევის რეპორტირება და გამოძიება

ყველა ინციდენტი და შემთხვევა სამსახურში უნდა აისახოს ინციდენტის / შემთხვევის ფორმაში (incident/accident forms). ინციდენტი გულისხმობს სიტყვიერ შეურაცხყოფას, საფრთხის შემცველ ქმედებებს, ფიზიკურ ძალადობას, სახანძრო ინციდენტებსა და უბედურ შემთხვევებს. ნებისმიერი ინციდენტის შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს გამოძიება.

ვიზიტორების კონტროლი

სკოლა წარმოადგენს კერძო დაწესებულებას. ყველა პიროვნება, რომელიც არ შედის ქვემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში და შემოდის ნებართვის გარეშე, სკოლის ტერიტორიაზე იმყოფება უკანონოდ და შესაძლოა, მას მოსთხოვონ ტერიტორიის დატოვება.

- თანამშრომელი - გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანამშრომელს დროებით ეკრძალება სკოლაში მოსვლა ჯანმრთელობის მდგომარეობის ან დისციპლინური მიზეზების ან/და გადამდები დაავადების არსებობის შემთხვევაში ევროპული სკოლის მიერ დადგენილი რეგულაციების გამო;
- დარეგისტრირებული მოსწავლეები - გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათ ეკრძალებათ სკოლაში მოსვლა დისციპლინური მიზეზების ან/და გადამდები

დაავადების არსებობის შემთხვევაში ევროპული სკოლის მიერ დადგენილი რეგულაციების გამო;

- მშობლები ან მეურვეები, რომელთაც აკისრიათ პასუხისმგებლობა ბავშვებზე - გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათ ჩამორთმეული აქვთ აღნიშნული პასუხისმგებლობა იურიდიული ძალით ან/და გადამდები დაავადების არსებობის შემთხვევაში ევროპული სკოლის მიერ დადგენილი რეგულაციების გამო ეზღუდებათ სკოლის ტერიტორიაზე შემოსვლა;
- სხვები - ხელმძღვანელები, მომწოდებლები, კონტრაქტორები და პირები, რომლებსაც უფლება აქვთ, იყვნენ სკოლის ტერიტორიაზე სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ გარდა იმ შემთხვევისა თუ გადამდები დაავადების არსებობის შემთხვევაში ევროპული სკოლის მიერ დადგენილი რეგულაციების გამო ეზღუდებათ სკოლის ტერიტორიაზე შემოსვლა;

გადამდები დაავადების გავრცელების პრევენციის მიზნით სკოლის ტერიტორიაზე თითოეული ვიზიტორი ვალდებულია დაემორჩილოს სკოლის მიერ შემუშავებულ წესებს/რეგულაციებს სკოლის ტერიტორიაზე შემოსვლის/გადაადგილების/ყოფნის მთელ პერიოდში და დაემორჩილოს სკოლის უსაფრთხოების სამსახურის მითითებებს.

სკოლის უსაფრთხოება იყენებს შემდეგ უსაფრთხოების სისტემას - Access Control System,

ამიტომ:

იმ პირებს, რომლებიც არ არიან თანამშრომლები, ან მოსწავლეები, არ აქვთ ტერიტორიაზე შესვლის უფლება, სანამ არ გაივლიან ვიზიტორების დაშვებისთვის გათვალისწინებულ პროცედურას.

სისტემას შეუძლია, ამოიცნოს ლეგიტიმური ვიზიტორები და კონტროლს უწევს:

- მოსვლის მიზეზს - ვიზიტორებმა შესვლისას უნდა გაიარონ რეგისტრაცია და შეავსონ შესაბამისი დოკუმენტაცია (safe guarding documentation);
- გასვლის დროს და გადაადგილებას სკოლის ირგვლივ;
- ყველა ვიზიტორს ურიგდება ID ბეჯი, რომლებიც მათ უნდა ატარონ სკოლის ტერიტორიაზე ყოფნისას და თან უნდა ჰქონდეთ შესაბამისი დოკუმენტაცია (safe guarding documentation).
- საჭიროების შემთხვევაში, ვიზიტორი ვალდებულია შეავსოს გადამდები დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით სკოლის მიერ შესაბამისი წესით შემუშავებული ფორმა.

ვიზიტორები

- ყველა ვიზიტორი, მათ შორის კონტრაქტორები, უნდა შემოვიდეს მთავარი შემოსასვლელიდან, დაფიქსირდეს სკოლის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთან, რეგისტრაცია გაიაროს ვიზიტორების წიგნში და დაიმაგროს

ვიზიტორის ბეჯი;

- ყველა მშობელმა უნდა ჩანიშნოს წინასწარი შეხვედრა სკოლის თანამშრომლებთან და შემდეგ გაიაროს ზემოთ აღწერილი პროცედურა;
- სკოლის უსაფრთხოების თანამშრომლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პიროვნება, რომელსაც სკოლის ტერიტორიაზე სურს შესვლა, შემოდის მთავარი შემოსასვლელი კარიდან.

დარღვევები, რომელიც არ გულისხმობს ძალადობას

- სკოლას შეუძლია პოლიციის ჩარევის გარეშე გადაწყვიტოს ის ინციდენტები, რომლებიც დაფიქსირდა სკოლის შიგნით, ან სკოლის გარშემო, და რომლებიც წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების დარღვევას.
- თუკი რომელიმე ვიზიტორი მიმართავს სიტყვიერ შეურაცხყოფას, მას სთხოვენ სკოლის ტერიტორიის დატოვებას, წინააღმდეგ შემთხვევაში - დაუკავშირდებიან პოლიციას.

ინციდენტები, რომლებიც გულისხმობს ფიზიკურ ძალადობას

- გონივრული ძალის გამოყენებით, სკოლამ შესაძლოა შეაჩეროს თავდამსხმელი მსხვერპლის დაცვის მიზნით;
- გარდა მცირე შემთხვევებისა, სკოლა იძახებს პოლიციას, თუკი თავდასხმამ გამოიწვია სხეულის დაზიანება;
- სკოლა პოლიციას ატყობინებს ინციდენტების შესახებ, რომლებიც ხდება სკოლის ტერიტორიის მიღმა საზოგადოებრივ ადგილებში, მაგრამ ეს ხდება მაშინ, როდესაც სკოლას აკისრია პასუხისმგებლობა ინციდენტში ჩართულ პირებზე (თანამშრომლები ან მოსწავლეები);
- სადაც შესაძლებელია, ინციდენტში ჩართულმა პირებმა უნდა დააფიქსირონ მოწმეები, ან პირები, რომლებსაც შეუძლიათ ძალადობის ფაქტის დადასტურება;
- სკოლა მზადაა, უზრუნველყოს ინციდენტის გამომწვევი მიზეზების მოძიება.

იარაღები

- თუკი არსებობს გონივრული ეჭვი, რომ მოსწავლეს აქვს საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთი ან იარაღი, ასევე სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი, ასევე იმ საგნის ქონა, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, მაშინ უსაფრთხოების თანამშრომელი ვალდებულია განახორციელოს მოსწავლე უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება და დეტექტორის საშუალებით შემოწმება. უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს ეკრძალება მოსწავლეს ფიზიკურად შეხება და ჩხრეკა.

- როდესაც მოსწავლე უარს აცხადებს თანამშრომლობაზე, მშობლები / მეურვეები უნდა გამოცხადდნენ სკოლაში, მას შემდეგ რაც საკითხის შესახებ ეცნობება სკოლის დირექტორს, და საჭიროების შემთხვევაში, პოლიციას; იარაღის ამოღების მიზნით მოსწავლეს ჩხრეკას ატარებს მხოლოდ და მხოლოდ პოლიცია.

ინციდენტების რეპორტირება და აღრიცხვა

სკოლა აწარმოებს ინციდენტების აღნუსხვას. აღრიცხება ყველა დეტალი. დეტალები შესაძლოა, შემთხვევა იყოს უმნიშვნელო ხასიათის, მაგრამ განმეორების შემთხვევაში, შეიძლება, მიიღოს სერიოზული სახე.

- უკანონო შემოსვლა სკოლის ტერიტორიაზე;
- პირების (გარდა მოსწავლეებისა) აგრესიული ქმედება სკოლის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- საკითხები/პრობლემები, რომლებიც დააფიქსირეს მოსწავლეებმა;
- ნებისმიერი ინციდენტი, რომელიც შეშფოთების საფუძველს იძლევა;
- ადმინისტრაციას აქვს სრულად შევსებული ინციდენტების სარეგისტრაციო დოკუმენტაცია (Incident Register)
- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯერი სარეგისტრაციო დოკუმენტაციას (Incident Register) ამოწმებს რეგულარულად - ინციდენტებმა ხომ არ მიიღო რეგულარული სახე და ხომ არ არის საჭირო შესაბამისი რეაგირება.

პირადი საკუთრება

- მოსწავლეებისთვის რეკომენდებულია, არ მოიტანონ ძვირფასი/ღირებული ნივთები სკოლაში. მიუხედავად გაფრთხილებისა, ძვირფასი/ღირებული ნივთების სკოლაში შემოტანის შემთხვევაში, სკოლა არ იღებს პასუხისმგებლობას. თუკი ძვირფასი/ღირებული ნივთის შემოტანა აუცილებელია, მაშინ მასწავლებელს წინასწარ უთანხმდებიან ნივთის დროებით უსაფრთხოდ შენახვის საკითხზე.
- თანამშრომლები პასუხისმგებლები არიან პირადსაკუთრებაზე;
- დაკარგული ნივთები სკოლაში ინახება 6 თვის განმავლობაში.

კონტრაქტორები

ყველა კონტრაქტორმა უნდა დააფიქსიროს თავისი შესვლა და გასვლა, სანამ დაიწყებენ მუშაობას. თუკი მათი მუშაობის მანერა/სტილი არ არის უსაფრთხო, მათ მოსთხოვენ სამუშაოს შეწყვეტას.

Access Control System

სისტემა იცავს სკოლის შესასვლელს პირებისგან, რომლებიც უკანონოდ ცდილობენ სკოლაში შეღწევას. სისტემა მოიცავს ტურნიკეტებს, საშვებს და ვიდეო-მონიტორინგს.

- ვიდეო-თვალთვალი ხელს უშლის პირებს, უკანონოდ შეაღწიონ სკოლის

ტერიტორიაზე;

- სათვალთვალო კამერები აკონტროლებენ სკოლის გარემოს. გარე კამერები აკონტროლებენ შენობის პერიმეტრს, ღობეს, ჭიშკარს და მანქანების სადგომს;
- კამერები უსაფრთხოების თანამშრომლებს საშუალებას აძლევს, სწრაფად დააფიქსირონ საეჭვო გარემოებები;
- უსაფრთხოების თანამშრომლები სკოლაში აწესებენ საპატრულო/სათვალთვალო პუნქტებს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;
- უსაფრთხოების ერთ-ერთი თანამშრომელი განთავსებულია სკოლის შესასვლელში და ცენტრალური კამერის მეშვეობით, აკონტროლებს სკოლის ყველა კუთხეს;
- სკოლის შესასვლელი და გასასვლელი დაცულია 24 საათის განმავლობაში;
- შენობის დაკეტვის შემდეგ, სკოლის ტერიტორიაზე ხორციელდება პატრულირება ყოველ ორ საათში;
- სკოლა აღჭურვილია მულტი-ბიომეტრიული აპარატურით, რომელიც კითხულობს თითის ანაბეჭდებს;
- Access Control System მოწმდება ყოველდღიურად

საგანგებო სიტუაციების (ხანარი, მიწისძვრა, წყალდიდობა და ა.შ.), მთ შორის გადამდები დაავადების გავრცელების დროს სამინისტროს შეტყობინება

სკოლის დირექტორი ვალდებულია საგანგებო სიტუაციების შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს სამინისტროს, შესაბამის რესურსცენტრს და უფლებამოსილ ორგანოებს. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ან/და სხვა კომპეტენტური ორგანოს დასკვნის საფუძველზე სკოლის დირექტორი მოქმედებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე სასწავლო პროცესის საკლასო ოთახებში შეჩერებისა და დისტანციური სწავლების მოდელზე გადასასვლელად, შეწყვეტის ან განახლებისათვის.. გადაწყვეტილებას აღნიშნულის შესახებ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იღებს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო. სასწავლო პროცესის შეჩერების, შეწყვეტის ან განახლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იღებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი სკოლის დირექტორის მიმართვის საფუძველზე.

სახანძრო უსაფრთხოება

- ყველა თანამშრომელს აკისრია პასუხისმგებლობა, არ ჩააგდონ სხვები, ან საკუთარი თავი საფრთხეში;
- ყველა თანამშრომელი ვალდებულია, დაემორჩილოს იმ პროცედურებს,

რომლებიც ხორციელდება თანამშრომლების, მოსწავლეებისა და ვიზიტორების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

- ყველა თანამშრომელს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია სახანძრო უსაფრთხოების პროცედურებში ცვლილებების შესახებ;
- ყველა თანამშრომელმა, მათ შორის მოსწავლეებმა, ვიზიტორებმა და კონტრაქტორებმა, უნდა იცოდნენ, როგორ მოიქცნენ ხანძრის შემთხვევაში;
- ყველა ახალ თანამშრომელს ან დროებით თანამშრომელს სჭირდება ინსტრუქტაჟი/ტრენინგი სახანძრო განგაშის ჩართვისა და საავარიო მარშრუტების შესახებ;
- ყველა საავარიო მარშრუტი უნდა იყოს ნათლად აღნიშნული და უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში;
- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯერი ყოველკვირეულად ამოწმებს საავარიო მარშრუტებს;
- სავაკუაციო პროცედურები ყველა დერეფანში არის გამოკრული სახანძრო განგაშის სისტემის გვერდით (Fire Alarm Call Point);
- ყველა ცეცხლმაქრს ზედამხედველობას უწევს შესაბამისი კონტრაქტორი; თუკი თანამშრომელი შეამჩნევს რაიმე დეფექტს, ან აღმოაჩენს, რომ მოწყობილობა გაუჩინარებულა, ამის შესახებ უნდა აცნობოს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯერს;
- განგაშის სისტემა (Alarms) ყოველ 6 თვეში მოწმდება შესაბამისი კონტრაქტორის მიერ;
- ხანძრის დაფიქსირებისა და გაფრთხილების სისტემა (The fire detection and warning system) მოწმდება ყოველ 6 თვეში შესაბამისი კონტრაქტორისა მიერ, ხოლო ყოველ თვეში - ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯერის მიერ.

ხანძრის დაფიქსირებისა და გაფრთხილების სისტემა (The fire detection and warning system)

მოიცავს:

- საგანგაშო სინათლეს;
- ცეცხლმაქრ მოწყობილობას;
- საავარიო მარშრუტებსა და გასასვლელებს;
- სახანძრო ნიშნებს;
- პრევენციისა და უსაფრთხოების პროცედურების ეფექტურ დაგეგმვას, ორგანიზებას, კონტროლსა და მონიტორინგს;
- სახანძრო უსაფრთხოების სისტემებს;
- თანამშრომლების ტრენინგს სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით;
- ევაკუაციის გეგმას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შემდეგი დოკუმენტები: *Emergency & Evacuation Procedures* და *Fire Safety Management and Emergency Plan for European School*.

უსაფრთხოება მიწისძვრის დროს

ვინაიდან მიწისძვრა შეიძლება, მოხდეს მოულოდნელად, სიცოცხლის გადასარჩენად საჭირო პროცედურები მიწის პირველივე ძვრისას უნდა გატარდეს. ყველაზე დამანგრეველი მიწისძვრების დროსაც კი, შენობები მთლიანად იშვიათად ინგრევა. სხეულის დაზიანებასა და სიკვდილს იწვევს ისეთი ელემენტების მსხვრევა და ჩამოცვენა, როგორცაა ფანჯრის მინა, ჭერი, ნათურები, ბუხრები, კაფელი, ჩარჩოები და ა.შ.

- მიწისძვრის საგანგებო წვრთნა ხორციელდება იმავე სიხშირით, როგორც სახანძრო წვრთნა (თუმცა ისინი დროში არ ემთხვევიან);
- წვრთნებზე უნდა იქნას გათვალისწინებული ის სიტუაციები, რაც თან ახლავს მიწისძვრას: გაჭედული კარები, ჩახერგილი დერეფნები და კიბეები;
- სიმულაციური სავარჯიშოები უნდა ჩატარდეს როგორც სკოლის შიგნით, ასევე მის გარეთ;
- მიწისძვრის შემდეგ, შენობის ევაკუაცია უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ, რადგან არსებობს შოკის, შენობის ნგრევის, ხანძრის და აფეთქების შესაძლებლობა;
- წვრთნის პროცედურების ასლი უნდა ჰქონდეს ყველა მასწავლებელს კლასში იმპლემენტაციისთვის;

სკოლის სხვა ნაწილებში, მიწისძვრის პირველივე ნიშნების გაჩენისას, შენობაში მყოფები უნდა:

- მოშორდნენ ფანჯრებს, თაროებს, და მძიმე საგნებს, რომლებიც შესაძლოა, ჩამოცვივდეს;
- შეძვრნენ მერხის ან მაგიდის ქვეშ, კუთხეებში ან კარებში;
- დერეფნებში, კიბეზე და სხვა ადგილებში, სადაც თავშესაფარი არ არის, მიიწიონ კედელთან, დაიჩოქონ კედელთან ზურგით, თავი ჩახარონ მუხლებში, ხელები შეიკრან კეფაზე და თავი მკლავებით დაიფარონ;
- ბიბლიოთეკაში მოშორდნენ იმ ადგილებს, სადაც შესაძლოა, თაროები და წიგნები ჩამოცვივდეს;
- დარჩნენ შიგნით - როგორც წესი, გარეთ ყოფნა არის საშიში, რადგან შესაძლოა, ჩამოცვივდეს შენობის ნანგრევები. შენობიდან უნდა გავიდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც რყევები შეწყდება. თუ შესაძლებელია, გათიშონ აალებადი მოწყობილობა სამეცნიერო ლაბორატორიებში; განერიდონ მავნე ნივთიერებებს, რომლებიც შესაძლოა დაიღვაროს ისეთ სივრცეებში, როგორცაა სპორტდარბაზი, აუდიტორიები, მუსიკის ოთახები. სკოლამ უნდა შეიმუშავოს სახელმძღვანელო პროცედურები ზემოთ ჩამოთვლილზე დაყრდნობით;
- წესები, რომლებიც მშობლებმა უნდა დაიცვან, უნდა იქნას დეტალურად განხილული მშობელთა კრებაზე; მშობლებმა უნდა მიიღონ ცნობები წერილობითაც.

ელექტრო-უსაფრთხოება

- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯერი უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა ელექტროგაყვანილობა, სისტემა და აღჭურვილობა არის უსაფრთხო და არ გააჩნია არავითარი მექანიკური დეფექტი ან წუნი.
- უსაფრთხოების მენეჯერი უნდა დარწმუნდეს, რომ ელექტროსისტემების შემოწმება ხორციელდება დადგენილი წესების მიხედვით; შემოწმებები უნდა აღირიცხოს;
- პირებმა, რომლებსაც აქვთ შეხება ელექტრომოწყობილობასთან, მოწყობილობის გამოყენებამდე, უნდა ჩაატარონ მისი ვიზუალური შემოწმება;
- ელექტრომოწყობილობის გარემონტებას ახორციელებს სათანადოდ მომზადებული და კომპეტენტური პირი. თუ თანამშრომელმა დააფიქსირა, რომ ელექტრომოწყობილობა გატეხილია ან დაზიანებული, იგი უნდა დარწმუნდეს, რომ მოწყობილობას არავინ გამოიყენებს და ამის შესახებ აცნობოს მენეჯერს;
- პორტატული მოწყობილობის შემოწმება: ადმინისტრაციული მენეჯერი პასუხისმგებელია პორტატული ელექტრომოწყობილობის ზედამხედველობაზე; ასევე, ახალი ინვენტარის შეძენისას, მას ეკისრება პასუხისმგებლობა, დარწმუნდეს, რომ ინვენტარი აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

აპარატურის უსაფრთხოება

- ყველა თანამშრომელს ეკისრება პასუხისმგებლობა დარწმუნდეს, რომ მოწყობილობა/აპარატურა მუშაობს გამართულად და ინახება უსაფრთხოდ. დეფექტიანი მოწყობილობა/აპარატურა უნდა იქნას ამოღებული გამოყენებიდან და გადაეცეს ლოჯისტიკის მენეჯერს შეტყობინებით: *FAULT DO NOT USE*.
- ყველა თანამშრომელი პასუხისმგებელია შენობისა და საკუთრების უსაფრთხოებაზე;
- სასკოლო დღის ბოლოს, ყველა თანამშრომელი უნდა დარწმუნდეს, რომ ფანჯრები და კარები დახურულია (სანამ ამას შეამოწმებენ სკოლის ტერიტორიაზე პასუხისმგებელი პირები);
- ყველა თანამშრომელი პასუხისმგებელია დარწმუნდეს იმაში, რომ სკოლის ტერიტორიაზე არ არის ნივთები, რომლებიც შესაძლოა, გამოიყენონ ხანძრის გასაჩენად ან ვანდალიზმის ჩასადენად;
- რისკების შეფასების პროცედურებს ყოველწლიურად უწევს მეთვალყურეობას უსაფრთხოების მენეჯერი;
- სკოლის საკუთრება მკაფიოდ არის აღნიშნული;
- ყველა ძვირადღირებულ, პორტატულ აპარატურას აქვს სკოლის საკუთრების დამადასტურებელი ნიშანი;
- ყველა ოთახი, რომელსაც გააჩნია საფრთხის შემცველი აპარატურა/მოწყობილობა, უნდა იყოს დაკეტილი - დამლაგებლის ოთახი, ტექნიკური პერსონალის ოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კარადები, და ოთახები, სადაც ინახება

საწმენდი ნივთიერებები;

- თანამშრომლები პასუხისმგებელი არიან, დააბრუნონ მოწყობილობა უსაფრთხო ადგილას.

აპარატურა/მოწყობილობა

- ნებისმიერი აპარატურა/მოწყობილობა უნდა იქნას შენახული გამოშვების ინსტრუქციის თანახმად; გარდა ამისა, შენახვის წესები აფიქსირებს, თუ რა შემთხვევაში უნდა ჩატარდეს აპარატურის/მოწყობილობის დამატებითი შემოწმებები;
- აპარატურა/მოწყობილობა, რომელიც არ არის უსაფრთხო, დაუყოვნებლივ უნდა იქნას ამოღებული ხმარებიდან;
- მაღალი რისკის შემცველი აპარატურა/მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ტექნიკის ოთახებში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიებში და სპორტდარბაზებში, უნდა შემოწმდეს ყოველწლიურად კომპეტენტური პირის მიერ;
- როდესაც სკოლა იძენს ახალ აპარატურას/მოწყობილობას, უნდა შემოწმდეს, რომ იგი აკმაყოფილებს ინსტალაციისა და საგანმანათლებლოსტანდარტებს;
- ყველა აპარატურა/მოწყობილობა ინახება შესაბამის კონტეინერებში და სივრცეებში; ყველა კონტეინერს აწერია შიგთავსისა და მოსალოდნელი საფრთხის შესახებ (hazard signs and contents).

მავნე ნივთიერებების კონტროლი

სკოლა ვალდებულია, გააკონტროლოს სხვადასხვა მავნე ნივთიერება, მათ შორის:

- ქიმიური ნივთიერებები;
- პროდუქტები, რომლებიც შეიცავს ქიმიურ ნივთიერებებს;
- კვამლი;
- მტვერი;
- ორთქლი;
- ასფიქსიური გაზები;
- ბაქტერიები, რომლებიც იწვევს დაავადებებს, მაგალითად ლეპტოსპიროზი ლეგიონელოზი;
- ყველა მავნე პროდუქტი უნდა იქნას შენახული კონტეინერებში, მკაფიო ნიშნებით და ინფორმაციით პროდუქტის შეახებ;
- ნებისმიერი ნივთიერება, რომელსაც აქვს საფრთხის შემცველი ნიშანი, არ უნდა იყოს საკლასო ოთახში. თანამშრომლები უნდა დაემორჩილონ ინსტრუქციებს მსგავსი პროდუქტების გამოყენებისას;
- აკადემიურმა პერსონალმა უნდა იცოდეს რომ ქიმიური ნივთიერებების გამოყენების საკითხი უნდა შეათანხმოს მეცნიერებების კოორდინატორთან;

- თანამშრომლებს აქვთ ინფორმაცია აზბესტის შესახებ, სკოლაში აზბესტის ლოკაციებზე, და შესაბამის პროცედურებზე;
- შესაბამისი პროცედურების თანახმად, კონტრაქტორებს აქვთ ინფორმაცია სკოლის ტერიტორიაზე აზბესტის არსებობის შესახებ და იციან, რომ მუშაობისას აზბესტს არ უნდა შეეხო. თუკი ისინი აღმოაჩენენ ნივთიერებას, რომელიც მათი აზრით, არის აზბესტი, უნდა შეწყვიტონ მუშაობა მანამ, სანამ ლოკაცია უსაფრთხოდ არ გამოცხადდება. სკოლის ტერიტორიაზე აზბესტის ლოკაციები აღინუსხება. ინსპექციის/შემოწმების შედეგები აღინუსხება სკოლის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სისტემაში.

ჰიგიენა და სანიტარია

სკოლა მიმართავს ჰიგიენისა და სანიტარიის ზომებს, რათა შეინარჩუნოს ჯანსაღი გარემო, დაიცვას ბავშვების ჯანმრთელობა და ხელი შეუწყოს ეფექტურ განათლებას.

„ევროპულ სკოლას“ აქვს „ჰიგიენისა და სანიტარიის სახელმძღვანელო,“ რომელიც შედგენილია სახელმწიფო უწყებების მიერ დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით. დასუფთავების და ტექნიკური სამსახურის პასუხისმგებლობა მოიცავს შემდეგს:

- საკლასო ოთახები და სხვა სასწავლო სათავსები რეგულარულად ექვემდებარება წმენდა-დასუფთავებას;
- ტუალეტების დასუფთავება და ტექნიკური გამართულობის შემოწმება რუტინულად განხორციელდეს, რათა მუდმივად იქნეს უზრუნველყოფილი სუფთა და ფუნქციონირებადი ტუალეტების ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისთვის და პერსონალისთვის;
- მყარი ნარჩენები ყოველდღიურად გროვდება საკლასო ოთახებში, სამზარეულოში, ადმინისტრაციულ და სხვა სათავსებში და უსაფრთხოდ გაიტანება სკოლის შენობიდან.

სკოლის პასუხისმგებლობა მოიცავს შემდეგს:

- სასმელად გამოყენებული წყალი იყოს უსაფრთხო ჯანმრთელობისთვის და მისი ხარისხი შეესაბამებოდეს საქართველოს შორმის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს;
- საკმარისი რაოდენობით წყლის მიწოდებას სასმელი და სამეურნეო მიზნებისთვის (ხელის დაბანა, ტუალეტების ჩარეცხვა, სათავსების დასუფთავება);
- ყოველთვიურად ჩატარდეს დეზინფექცია;
- ნარჩენების კონტეინერების განთავსების ადგილი, ასევე საწყობები და სარდაფები პერიოდულად დამუშავდეს მწერებისა და მღრღნელების გამრავლების

საწინააღმდეგო საშუალებებით (დეზინსექცია, დერატიზაცია);

- დასუფთავების, სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებები არ იყოს ტოქსიკური ადამიანისთვის;
- სკოლის სამზარეულოში, ხელსაბანებში წყლის მიწოდება ხდებოდეს ცენტრალური წყლის სისტემით; ტექნიკური რეგლამენტისა და კომპანიის მიერ დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით სისტემატურად მიმდინარეობდეს წყლის მონიტორინგი;
- „ევროპული სკოლის“ ფიზიკური აღზრდის პროგრამა ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და სანიტარულ-ჰიგიენური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

საკვებისა და სამზარეულოს ჰიგიენა

სკოლის პასუხისმგებლობა

- საკვების მომზადების არეალი აკმაყოფილებს გარემოს ჯანმრთელობისა და საკვების უსაფრთხოების რეგულაციებს;
- თანამშრომლები ვალდებული არიან, მოამზადონ საკვები ჰიგიენისა და უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით;
- სასკოლო კვება ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფის კომპონენტს წარმოადგენს და შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს საგანმანათლებლო კურსთან ჯანსაღი კვებისა და საკვების უსაფრთხოების საკითხებზე;
- იკრძალება საოჯახო პირობებში მომზადებული სურსათის გამოყენება და შემოტანა სკოლაში (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონკრეტული ბავშვის მშობლის/მეურვის მიერ ხდება ამა თუ იმ კერძის მიწოდება და განკუთვნილია მხოლოდ ამ ბავშვის მიერ მოსახმარებლად) გარდა პროექტის ფარგლებში სკოლის მიერ ნებადართული საქველმოქმედო აქციებისა. ასევე, აღნიშნული სკოლის მიერ შეიძლება ნებადართულად ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ გადამდები დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით სკოლაში მოქმედებს სკოლის მიერ შემუშავებული დამატებითი რეგულაციები.

სასადილოს მენეჯერის პასუხისმგებლობა

- საკვები პროდუქტები ინახებოდეს სათანადო ტემპერატურული რეჟიმის პირობებში;
- საკვების მოსამზადებლად გამოიყენებოდეს ხარისხიანი წყალი და უსაფრთხო სასურსათო ნედლეული;
- საკვების შენახვა და მომზადება ხორციელდება დაავადებების გავრცელების რისკის მინიმუმამდე დაყვანით;
- სადეზინფექციო ხსნარებისა და სხვა საშუალებათა გამოყენება აღრიცხულია და სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებები ინახება ცალკე განკუთვნილ საცავებში/კარადებში;
- სამზარეულოს პერსონალის პირადი ჰიგიენა და ჯანმრთელობის

მდგომარეობა მოწმდება პასუხისმგებელი პირის მიერ.

იხილეთ ასევე „ევროპულ სკოლაში სანიტარიისა და ჰიგიენის წესები,“ რომელიც ასახავს „ევროპული სკოლის“ სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხებთან დაკავშირებულ მიდგომებსა და სტრატეგიულ ხედვებს, აუცილებელ პროცედურებს და წარმოადგენს სახელმძღვანელოს სკოლაში გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვაზე ორიენტირებული პოლიტიკის და სტრატეგიის გასატარებლად. ამასთან, გადამდები დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით, საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია სკოლის მიერ განისაზღვროს დამატებითი წესები, სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციების შესაბამისად.

გადაუდებელი სამედიცინო დახმარება

სკოლას გააჩნია სრულად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გასაწევად;

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის უფლება აქვს მხოლოდ სერტიფიცირებულ თანამშრომლებს და სკოლის ექიმს; კვალიფიციურ თანამშრომლებს აქვთ წვდომა გადაუდებელი დახმარების ყუთზე; სკოლას ჰყავს საკმარისი რაოდენობა პირებისა, რომლებსაც შეუძლიათ გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა და არსებობს შესაბამისი პროცედურები მათ გამოსაძახებლად საჭიროების შემთხვევაში; სკოლის ექიმი, მასწავლებლებთან ერთად, ხელმძღვანელობს ფიზიკური განათლების პროგრამას, ხელს უწყობს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრებისა და ჯანსაღი კვების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და აკონტროლებს სანიტარულ-ჰიგიენურ პროცედურებს, რაც გულისხმობს პროფილაქტიკური ზომების გატარებასაც.

თუკი მოსწავლეს აქვს ქრონიკული დაავადება, ამის განხილვა ხდება მშობლებთან, და დგება სამედიცინო გეგმა; ბავშვები, რომლებიც ავად გახდომის გამო, ან რაიმე ინციდენტის შემდეგ შინ მიდიან, აღინუსხებიან ექიმის კაბინეტში;

უფრო დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „ევროპული სკოლის სამედიცინო პოლიტიკა.“ ამასთან, სკოლას შემუშავებული აქვს დამატებითი წესები, რომელიც გამოიყენება გადამდები დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით და ემსახურება კონკრეტულ სიტუაციაში სამოქმედო გეგმის განსაზღვრას.

თანამშრომლის მოვალეობები

- თანამშრომლებს ავალდებულებს კანონი, მიაქციონ ყურადღება საკუთარ ჯანმრთელობას და ამავდროულად სხვების უსაფრთხოებას, ვისზეც

შესაძლოა, მათმა საქმიანობამ მოახდინოს გავლენა. მათ უნდა ითანამშრომლონ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებზე, აღასრულონ დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები სათანადო ტრენინგისა და ინსტრუქციის შესაბამისად, და რაიმე საფრთხის ან რისკის დაფიქსირების შემთხვევაში, აცნობონ უშუალო ხელმძღვანელს.

- როდესაც პასუხისმგებელი არიან მოსწავლეებზე, მასწავლებლები და მშობლები

უნდა მოიქცნენ ისე, როგორც მოიქცეოდა ნებისმიერი გონიერი მშობელი.

მშობლების გაფრთხილება

თუკი მოსწავლეს შეემთხვევა რაიმე, ან მიიღებს დაზიანებას, ან თუკი დასჭირდება გადაუდებელი დახმარება და მკურნალობა, მშობელს ინფორმაციას მიაწვდის დამრიგებელი, ან სკოლის ექიმი

უბედური შემთხვევა

- გადაუდებელ სიტუაციაში იძახებენ სასწრაფოს, რათა მოსწავლე გადაყვანილი იქნას საავადმყოფოში. როდესაც ეს შესაძლებელია, ბავშვს თან უნდა ახლდეს მშობელი. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ ბავშვს თან ახლავს სკოლის ორი თანამშრომელი.
- როცა სიტუაცია საგანგაშო არ არის, შესაძლოა, თანამშრომლებმა უზრუნველყონ მოსწავლის ტრანსპორტირება.

შემთხვევების აღწერის წიგნაკი

- შემთხვევების დაფიქსირების შემდეგ დაუყოვნებლივ ივსება სპეციალური ფორმა თანამშრომლის, ან იმ პირის მიერ, ვისაც აქვს გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის უფლება;
- შემთხვევის აღრიცხვისას უნდა იქნას დაფიქსირებული რაც შეიძლება მეტი დეტალი;
- აღნიშნული მონაცემები სკოლის მიერ ინახება მინიმუმ სამი წლის განმავლობაში.

სკოლის გარეთ

მოსწავლეები არ უნდა გავიდნენ სათამაშოდ სკოლის ტერიტორიის მიღმა - არ უნდა გასცდნენ სკოლის ჭიშკარს.

მშობლების თანხმობა გასვლით აქტივობებზე

სკოლის მიერ ორგანიზებული გასვლითი გასართობი, შემეცნებითი-სასწავლო

მიზნებისათვის სასკოლო დროს განხორციელებული აქტივობებში (შემდგომში - „ექსკურსიები“) მოსწავლის მონაწილეობა, როგორც სასკოლო განათლების შემადგენელი ნაწილი, საჭიროებს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას.

ექსკურსიებში მოსწავლის მონაწილეობის სხვა დამატებითი მოთხოვნები განისაზღვრება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა ექსკურსიების განხორციელების წესის დამტკიცების თობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 31 მაისი N179 ბრძანების საფუძველზე.

სტრატეგიების მონიტორინგი

- არაფორმალურად - სიტყვიერი რეპორტინგი ვიზიტორებისა და თანამშრომლებისგან;
- ფორმალური შეხვედრები, საბჭოს შეხვედრები;
- ყველა თანამშრომელი პასუხისმგებელია, მონაწილეობა მიიღოს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკის იმპლემენტაციაში.

დასკვნითი დებულებები

ევროპულ სკოლაში წინამდებარე დოკუმენტთან ერთად გამოიყენება:

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება №06/ნ. ის საკითხები, რომელიც არ რეგულირდება წინამდებარე დოკუმენტით, რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით. ამასთან, წინამდებარე დოკუმენტს დაერთვის და მის განუყოფელ ნაწილად ითვლება სკოლის მიერ „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID- 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების შესაბამისად მომზადებული ევროპულ სკოლაში სასწავლო პროცესის განმავლობაში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (SARS-CoV-2) პრევენციის მიზნით გასათვალისწინებელი ზოგადი რეგულაციები.